

„ბაჩკოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ“ (no. 2),

BACKOVIĆ v. SERBIA (No. 2)

საჩივარი N47600/17

08/04/2025

საქმის მოკლე ფაბულა

საქმეში „ბაჩკოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ“ (No. 2), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) დაადგინა, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების დარღვევა არ მომხდარა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც იგი დაჯარიმდა მოსამართლისა და სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ შეურაცხყოფელი შენიშვნების გაკეთებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯარიმა, რომელიც დაეკისრა სასამართლოს „უმაღლეს აბსურდად“ მოხსენიების მსგავსი განცხადებებისთვის, წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებაში აუცილებელ და პროპორციულ ჩარევას, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვას.

მოკლე ფაქტობრივი გარემოებები

საქმეში „ბაჩკოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ“ (no.2), ადვოკატ ჩედომირ ბაჩკოვიჩს ჯარიმა დაეკისრა სასამართლო დარბაზში შეურაცხყოფელი შენიშვნების გამო, როგორცაა მოსამართლისთვის „სამართლის გენიოსის“ და გადაწყვეტილებისთვის „უმაღლესი სისულელის“ მოხსენიება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ბაჩკოვიჩი დავობდა, რომ აღნიშნული ჯარიმა არღვევდა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლებას. მომჩივანი დავობდა, რომ ჯარიმის დაკისრება წარმოადგენდა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის მე-10 მუხლით.

...

სასამართლოს შეფასება (მუხლი 10) (სრულად)

(ა) ჩარევის არსებობა

32. მთავრობა სადავოს არ ხდის, რომ მომჩივნისთვის ჯარიმის დაკისრება ეროვნული სასამართლოსადმი წარდგენილი პრეტენზიების კონტექსტში წარმოადგენდა ჩარევას მის გამოხატვის თავისუფლებაში, რომელიც გარანტირებულია მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით. სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს, რომ რაიმე სხვაგვარად დაადგინოს.

(ბ) ჩარევის გამართლება

33. ჩარევა დაარღვევდა კონვენციის მე-10 მუხლს, თუ ის არ იქნებოდა „კანონით გათვალისწინებული“, არ ემსახურებოდა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზანს და არ იქნებოდა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ასეთი მიზნის ან მიზნების მისაღწევად (იხ. *Lešník v. Slovakia*, no. 35640/97, § 42, ECHR 2003-IV).

(i) „კანონით გათვალისწინებული“

34. სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ჩარევას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, კონსტიტუციის 46-ე მუხლი (იხ. ზემოთ პუნქტები 17 და 19) და „აღსრულების პროცედურის შესახებ“ კანონის 33-ე და 51-ე მუხლები (იხ. ზემოთ პუნქტები 12 და 20-21). შესაბამისად, ჩარევა გათვალისწინებული იყო კანონით კონვენციის 10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით.

(ii) ლეგიტიმური მიზანი

35. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნისთვის დაკისრებული ჯარიმა, რომელიც ეხებოდა მის მიერ ეროვნული სასამართლოს მოსამართლესა და თავად ეროვნულ სასამართლოებს, ემსახურებოდა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნების ლეგიტიმურ მიზანს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით (იხ. *Žugić v. Croatia*, no. 3699/08, § 42, 31 მაისი, 2011).

(iii) „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

(α) შესაბამისი პრინციპები

36. ზოგადი პრინციპები, რომლებიც ეხება იმ საკითხს, არის თუ არა კონკრეტული ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, კარგად არის ჩამოყალიბებული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში და შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად (იხ., სხვა მრავალ წყაროსთან ერთად, *Perinçek v. Switzerland* [GC], no. 27510/08, §§ 196-97, ECHR 2015 (ამონარიდები); *Delfi AS v. Estonia* [GC], no. 64569/09, § 131, ECHR 2015; და *NIT S.R.L. v. the Republic of Moldova* [GC], no. 28470/12, § 177, 5 აპრილი, 2022):

“(i) გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ის გამოიყენება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციის“ ან „იდებების“-ს მიმართ, რომლებიც დადებითად არის აღქმული ან უვნებლად ან გულგრილად ითვლება, არამედ იმ „იდებების“ მიმართაც, რომლებიც

შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემაშფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. როგორც მე-10 მუხლშია მითითებული, ეს თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც... თუმცა, მკაცრად უნდა იქნას განმარტებული და ნებისმიერი შეზღუდვის აუცილებლობა დამაჯერებლად უნდა იყოს დადგენილი...

(ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, გულისხმობს „აუცილებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული თავისუფალი შეფასების ფარგლები ასეთი საჭიროების არსებობის შეფასებისას, მაგრამ ეს თან ახლავს ევროპულ ზედამხედველობას, რომელიც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ასევე მის გამოყენებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსაც. ამგვარად, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა „შეზღუდვა“ მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას.

(iii) სასამართლოს ამოცანა, თავისი საზედამხედველო იურისდიქციის განხორციელებისას, არ არის კომპეტენტური ეროვნული ორგანოების ადგილის დაკავება, არამედ მისი ამოცანაა მე-10 მუხლის შესაბამისად ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა, თავისი უფლებამოსილების შესაბამისად. ეს არ ნიშნავს, რომ ზედამხედველობა შემოიფარგლება მხოლოდ იმის დადგენით, გამოიყენა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ თავისი დისკრეცია გონივრულად, ფრთხილად და კეთილსინდისიერად; სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა საქმის მთლიანობაში გათვალისწინებით და დაადგინოს, იყო თუ არა ის „პროპორციული დასახული ლეგიტიმური მიზნის“ და არის თუ არა ეროვნული ხელისუფლების მიერ მის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები „შესაბამისი და საკმარისი“... ამ შემთხვევაში, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიყენა სტანდარტები, რომლებიც შეესაბამებოდა მე-10 მუხლში განსაზღვრებულ პრინციპებს და უფრო მეტიც, რომ ისინი ეყრდნობოდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას...”

37. სასამართლოსადმი უპატივცემულობის საქმეებში გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის აუცილებლობის თავისუფალი შეფასების ზოგადი პრინციპები ხელახლა ჩამოყალიბდა საქმეში “*Radobuljac v. Croatia*” (no. 51000/11, §§ 56-61, 2016 წლის 28 ივნისი). კერძოდ, ადვოკატების განსაკუთრებული როლი, რომელიც გადამწყვეტია სამართლიანი მართლმსაჯულების ეფექტური ფუნქციონირებისთვის, მათ გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს სასამართლოში გამოყენებული არგუმენტების

მიმართ, რადგან მათ ევალებათ გულმოდგინედ დაიცვან თავიანთი კლიენტების ინტერესები (იქვე, §§ 60-61). სასამართლო ასევე იმეორებს, რომ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში შეუზღუდავი არ არის და რომ გარკვეული ინტერესები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი, საკმარისად მნიშვნელოვანია ამ უფლების შეზღუდვის გასამართლებლად (იხ. *Kyprianou v. Cyprus* [GC], no. 73797/01, § 174, ECHR 2005 XIII, და *Radobuljac*, ციტირებული ზემოთ, § 58). სასამართლოები დაცულნი უნდა იყვნენ მძიმე ზიანის მომტანი თავდასხმებისგან, რომლებიც არსებითად უსაფუძვლოა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ქვეშ მყოფი მოსამართლეები ექვემდებარებიან დისკრეციის ვალდებულებას, რაც მათ პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევს (იხ. *Morice v France* [GC], no. 29369/10, § 128, ECHR 2015; იხ. აგრეთვე *PRAGER AND OBERSCHLICK v. AUSTRIA*, 26 აპრილი 1995, § 34, სერია A no. 313, და *Radobuljac*, ციტირებული ზემოთ, § 54). კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის მკაფიო განსხვავება უნდა იყოს. თუ გამოხატვის ნებისმიერი ფორმის ერთადერთი მიზანი სასამართლოს ან ამ სასამართლოს წევრების შეურაცხყოფაა, შესაბამისი სანქცია, პრინციპში, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას არ წარმოადგენს (იქვე, § 61; იხ. აგრეთვე, *Skatka v. Poland*, no. 43425/98, §§ 39-42, 27 მაისი 2003, და *Kincses v. Hungary*, no. 66232/10, § 33, 27 იანვარი 2015). ამ ორს შორის განსხვავების დადგენისას, შენიშვნები უნდა განვიხილოთ საქმის მთლიანობაში, მათ შინაარსსა და იმ კონტექსტში, რომელშიც ისინი გაკეთდა (იხ. *Pisanski v. Croatia*, no. 28794/18, § 69, 4 ივნისი 2024).

(β) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

38. რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამოწვეული იყო ეროვნული სასამართლოების მიერ მისთვის ჯარიმის დაკისრებით იმ მოსაზრებებისთვის, რომლებიც მან წარმოადგინა სომბორის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც უარი თქვა მისი აღსრულების მოთხოვნაზე (იხილეთ ზემოთ პუნქტები 8, 9 და 12). ასევე აღნიშნულია, რომ მომჩივანი არჩევნებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში რამდენიმე სხვა პირის იურიდიულ წარმომადგენელს წარმოადგენდა და რომ მისი საჩივარი სწორედ ამ უფლებამოსილებით იყო მომზადებული. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, მედიაში გამოთქმული კრიტიკისგან განსხვავებით, მომჩივნის შენიშვნები გაკეთდა მას, როგორც ადვოკატს, და სასამართლოს შორის შიდა კომუნიკაციის კონტექსტში, რომლის შესახებაც ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა (იხ. *Radobuljac*, § 62, და *Pisanski*, § 70, ორივე ზემოთ ციტირებული).

39. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიერ მის წინააღმდეგ

გაკეთებული განცხადებები მიზნად ისახავდა სასამართლოს, აღმასრულებელი მოსამართლეების და საქმის განმხილველი მოსამართლის შეურაცხყოფას (იხ. ზემოთ მე-12 პუნქტი). ეს დასკვნა დაადასტურა იმავე სასამართლოს მეორე ინსტანციის კოლეგიამ 2012 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით. კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ მომჩივნის შენიშვნებიდან ნათლად ჩანდა, რომ იგი არ ასაჩივრებდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, არამედ საუბრობდა სასამართლოსა და მოსამართლის არაპროფესიონალიზმზე, ცოდნის ნაკლებობასა და ღირსების ნაკლებობაზე, რითაც უდავოდ აპირებდა სასამართლოს დაკნინებას. სასამართლომ დამატებით შეისწავლა მომჩივნის გამოხატვის თავისუფლების უფლება და დაადგინა, რომ ეს არ მოიცავდა კონკრეტულ საქმეებზე მომუშავე სასამართლოებისა და მოსამართლეების შეურაცხყოფას (იხ. ზემოთ მე-14 პუნქტი). საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განიხილა მომჩივნის საკონსტიტუციო სარჩელი და სადავო გადაწყვეტილებები გამოხატვის თავისუფლების უფლების გათვალისწინებით (იხ. ზემოთ მე-17 პუნქტი).

40. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმეში მომჩივანმა „აღსრულების პროცედურის შესახებ“ კანონის სადავო ინტერპრეტაცია შეაფასა, როგორც „კალმის მქაჩავი“¹, რომელსაც „კატასტროფული შედეგები“ მოჰყვა, გამოცდილებასა და პრაქტიკას, საიდანაც ეს შეიძლება წარმოშობილიყო, არასწორად და ცუდად მოიხსენია და მიაჩნდა, რომ ასეთი პრაქტიკის გამომყენებელი პერსონალი უნდა შეიცვალოს. მომჩივანი დასცინოდა სააღსრულებო სასამართლოს მოსამართლეების პროფესიონალიზმს, უწოდებდა მათ „სამართლის გენიოსებს“ და „იურიდიულ გიგანტებს“, ასევე მათ „გამომგონებლობაზე“ მითითებით, ამტკიცებდა, რომ მათი ქმედება დაკისრებული ფუნქციის ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა. მან განაცხადა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო „უმაღლესი აბსურდი“, რომელიც გამოწვეული იყო ან ბოროტი განზრახვით, ან უმეცრებით და რომ ნებისმიერ შემთხვევაში ის არაპროფესიონალური იყო (იხ. ზემოთ მე-11 პუნქტი). სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთი მოსამართლის მონაწილეობით განხილვის წესით (იხ. ზემოთ მე-9 პუნქტი) და შესაბამისად, მომჩივნის შენიშვნებს ჰქონდა პირადი ასპექტი, ანუ ისინი შეიძლება განიმარტოს, როგორც მიმართული მხოლოდ მისი საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ.

41. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმეს მსგავსი აქვს საქმესთან „*A. v. Finland*“ ((განჩინება), №44998/98, 2004 წლის 8 იანვარი), სადაც მომჩივანს გაფრთხილება მიეცა

¹ pen-pusher- არაფორმალური და ხშირად უარყოფითად აღიქმება იმ ადამიანის აღსანიშნავად, რომელიც ოფისში მოსაწყენ, უმნიშვნელო საკანცელარიო სამუშაოს ასრულებს, რაც დიდ წერას ან საბუთების წარმოებას გულისხმობს. ამერიკულ ინგლისურში ამ ტერმინს ასევე შეიძლება ეწოდოს „ფანქრის მქაჩავი“, ორივე სინონიმი აღნიშნავს კლერკს, რომელიც რუტინულ საოფისე მოვალეობებს ასრულებს, როგორცაა ჩანაწერების წარმოება. (მთარგმნელის კომენტარი).

თავმჯდომარე მოსამართლის შესახებ წერილობით საჩივარში წარდგენილი დამამცირებელი ხასიათის განცხადებების გამო; “*Žugić*” (ციტირებული ზემოთ) საქმესთან, სადაც მომჩივნის სააპელაციო შეტყობინებაში გამოყენებული იყო ისეთი ფორმულირება, რომელიც გულისხმობდა, რომ მოსამართლე, როგორც პიროვნება, ამპარტავანი და არაკომპეტენტური იყო მოსამართლის მოვალეობის შესასრულებლად; და “*Kincses*” (ციტირებული ზემოთ) საქმესთან, სადაც მომჩივანმა თავის სააპელაციო შეტყობინებაში ეჭვქვეშ დააყენა მოქმედი მოსამართლის პროფესიული კომპეტენცია. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ის ასევე შეიძლება განვასხვავოთ *Lutgen v. Luxembourg* (no. 36681/23, §§ 8 და 69, 16 მაისი 2024) და *Radobuljac* (ციტირებულია ზემოთ, §§ 10 და 66) საქმეებისგან, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატის მტკიცება, რომ მოსამართლის ქცევა სამართალწარმოების დროს „აბსოლუტურად მიუღებელი“ იყო, ამ უკანასკნელ საქმეში იმ განცხადებასთან ერთად, რომ ჩატარებული სხდომები „არსებითი მნიშვნელობის გარეშე“ იყო, არ შეიძლება დახასიათდეს, როგორც შეურაცხმყოფელი კონვენციის მე-10 მუხლის მნიშვნელობით.

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიერ ამ საქმეში გაკეთებული განცხადებები, რომლებიც დამამცირებელი და უზრდელი ტერმინებით იყო ჩამოყალიბებული, არა მხოლოდ 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილების დასაბუთებას და საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ პროცესის წარმართვის წესს აკრიტიკებდა, არამედ, როგორც შიდა სასამართლოებმა დაადგინეს, ეს სასამართლოს და საქმის განმხილველი მოსამართლის გამოცდილების, ექსპერტიზისა და პროფესიული შესაძლებლობების დაკნინებას წარმოადგენდა და გულისხმობდა, რომ ის უმეცარი და არაკომპეტენტური იყო (იხ. *Žugić*, ციტირებული ზემოთ, § 47; შეადარეთ *Radobuljac*, § 66, და *Pisanski*, § 71, ორივე ზემოთ ციტირებული). მათ ასევე დაადანაშაულეს მოსამართლეები თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, სასამართლოს დასკვნები კი „სისულელედ“ და „სამწუხაროდ“ შეაფასეს (იხ. ზემოთ მე-11 პუნქტი). არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მომჩივანს არ შეეძლო სადავო გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობის წინააღმდეგ თავისი პროტესტის წამოყენება ასეთი ენის გამოყენების გარეშე, როგორც ეს მან თავისი პროტესტის ნაწილში გააკეთა (იხ. ზემოთ მე-10 პუნქტი; იხ. აგრეთვე, *Žugić*, § 47, და *Kincses*, § 40, ორივე ზემოთ ციტირებული). თავად შენიშვნების გათვალისწინებით, სასამართლო არ მიიჩნევს ეროვნული სასამართლოების შეფასებას არაგონივრულად, რომლებიც, ნებისმიერ შემთხვევაში, უკეთეს მდგომარეობაში არიან გამოყენებული ენის გასაგებად და დასაფასებლად.

43. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების სამართლიანობა, გათვალისწინებული პროცედურული გარანტიები და დაკისრებული სასჯელების ხასიათი და სიმკაცრე ის ფაქტორებია, რომლებიც

გასათვალისწინებელია მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას (იხ. ზემოთ ციტირებული *Kyprianou* საქმე, § 171 in fine, და მასში ციტირებული წყაროები). ეფექტური სასამართლო განხილვის არარსებობამ შესაძლოა მე-10 მუხლის დარღვევის დადგენას მხარი დაუჭიროს (იხ. *Saygılı and Seyman v. Turkey*, no. 51041/99, §§ 24-25, 27 ივნისი 2006, და *Baka v. Hungary* [GC], no. 20261/12, § 161, 23 ივნისი 2016).

44. გარდა იმისა, რომ მომჩივანმა საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში შეიტანა (იხ. ზემოთ მე-15 პუნქტი) და არა მე-10 მუხლის კონტექსტში, როგორც ეს სასამართლოს წინაშე გააკეთა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება იმავე მოსამართლემ მიიღო, რომელიც პირადად შეურაცხყოფილი იყო მომჩივნის შენიშვნებით, სასამართლოს უპატივცემულობისთვის მისთვის ჯარიმის დაკისრების გადაწყვეტილების სასამართლო გადახედვა ეფექტური სასამართლო განხილვის გზით განხორციელდა (შეადარეთ ზემოთ ციტირებული საიგილის და სეიმანის საქმეს, § 25). მომჩივანს შეეძლო და გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, რომელიც შემდეგ მეორე ინსტანციის კოლეგიაში სხვა მოსამართლეებმაც დააკმაყოფილეს, რომლის მსჯელობაც საბოლოოდ საკონსტიტუციო სასამართლომაც მიიღო (იხ. ზემოთ მე-14 და მე-17 პუნქტები).

45. და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს დაეკისრა 50 000 რენდის ოდენობის ჯარიმა (დაახლოებით 425 ევრო იმ დროისთვის). ჯარიმა აღსრულების პროცედურის შესახებ კანონის 51-ე მუხლით დადგენილი შესაბამისი შკალის ქვედა ზღვარს წარმოადგენდა (იხ. ზემოთ პუნქტი 21; იხ. აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Lešník*, ციტირებული ზემოთ, § 63) და არ მოჰყოლია რაიმე შედეგი მომჩივნის პროფესიით საქმიანობის უფლებისთვის (იხ. *mutatis mutandis*, *Kincses*, ციტირებული ზემოთ, § 42). ამგვარად, ამ საქმის გარჩევა შესაძლებელია *Nikula v. Finland* (no. 31611/96, ECHR 2002-II) და *Skafka* (ზემოთ ციტირებული) საქმეებისგან, რომლებშიც მომჩივნებს დაეკისრათ სისხლის სამართლის სანქციები, შესაბამისად, მსუბუქი და მძიმე თავისუფლების აღკვეთა (იხ., *mutatis mutandis*, *Kincses*, ციტირებული ზემოთ, § 42), ან *Pais Pires de Lima v. Portugal* (no. 70465/12, § 67, 12 თებერვალი, 2019), რომელშიც მომჩივანს დაევალა შესაბამისი მოსამართლისთვის 50,000 ევროს კომპენსაციის გადახდა. შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ სადავო ჯარიმა გადაჭარბებულია (იხ. *Kincses*, ციტირებული ზემოთ, §§ 9 და 42).

46. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული ხელისუფლება სასამართლოზე უკეთეს მდგომარეობაშია მომჩივნის გამონათქვამების გასაგებად და დასაფასებლად და ასეთ საკითხებში გარკვეული

თავისუფალი შეფასების ფარგლები აქვს, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მათი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად მოყვანილი დასაბუთებები „რელევანტური და საკმარისი“ იყო ჩარევის გასამართლებლად და რომ მომჩივნისთვის დაკისრებული ჯარიმა არ იყო არაპროპორციული დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნებასთან. ამრიგად, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გონივრულად შეიძლება ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

47. შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.